# საქართველო

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანო.

**რედაქცია და კონტორა:** თბილისი, რუსთაველის პრ. სპექტი № 11 რედაქცია და კანტორა ღია ყოველ დღე დილის 9 ს., ნაშუადღევის 2 და ნახ. საათამდის. ტელეფ. № 15—73. მისამართი დეპეშებისთვის: თბილისი ,,საქართველო'' ფოსტის ყუთი № 76

**განცხადებანი:** განცხადება მიიღება ნაშუადღევის 1-ლ საათამდის. სტრიქონი პეტიტი პირველ გვერდზე 8 მ. მე-4 გვერდზე—6 მ. სამგლოვიარო განცხადებანი 30 სტრიქონი—300 მ. 1-ლი საათის შემდეგ 100 მანეთით მეტი.

**ხელის მოწერა:** გაზეთი ,,საქართველო'' ქალაქსა და ქალაქს გარეთ ღირს თვეში— 300 მან. ცალკე № —10 მ.

წელიწადი მეექვსე. ხუთშაბათი, მარიამობისთვის 26. 1920 წ. № 84 ფასი 10 მანეთი.



ქ. ლანჩხუთში არსდება გ-ნ ფინანსთა მინისტრის ნებართვით

## გურიის სავაჭრო კომერციული ბანკი

რომლის ძირითადი თანხა არის **ორი მილიონი მანეთი**

თითო აქცია ღირს 1000 მან. და საორგანიზაციო ხარჯების დასაფარავად 50 მან. თითი ხმის უფლებას ანიჭებს 5 აქცია. ამ თავითვე შემოტანილ უნდა იქმნას აქციის ნახევარი ღირებულება 500 მან. და საორგანიზაციო ხარჯებისთვის 50 მან. ე. ი. თითოაქციაზე 550 მან.

საზოგადო ოფიციალურ ხელის მოწერა აქციებზე და ფულის შემოტანა დანიშნულია: 6—ორშაბათს, 7—სამშაბათს, 8—ოთხშაბათს, 9—ხუთშაბათს და პარასკევს ამა სექტემბერს: ლანჩხუთში—საურთიერთო ბანკში. თბილისში—ცენტრო ბანკში. ქუთაისში—ვლადიმერ იაგორისძე გვარჯალაძესთან. ფოთში—ერმალო ბოლქვაძესთან. ბათომში—მოსე იაგორისძე გვარჯალაძესთან. ოზურგეთში—ელისე ანთელაძესთან. სამტრედიაში—სიმონ სპირიდონისძე ქართველიშვილთან და სუფსაში—კონსტანტინე ქანტურიასთან. ყოველივე შეკითხვის გამოგზავნა შეიძლება ლანჩ. საურთ. ბანკში.

1—3075—7 გურიის სავაჭრო ბანკის საორგანიზაციო კომიტეტი.



გ. ა. გაყონია

ღებულობს განცხადებებს

გაზ. „საქართველო“-სთვის

და აგრეთვე სხვა გაზეთებისთვის. მისამართი: სასამართლოს ქ. 52. ტელეფ. 9—25.



სახელმწიფო თეატრი

### ბალეტის სკოლა

მიიღებენ მოწაფეებს ვაჟთ და ქალთ 9-დან 6 წლამდის. ჩაწერა შეიძლება თეატრის კონტორაში 11-დან 2 საათ. გამოცდა 5 სექტემბერს იქნება.

სკოლის დირექტორი მ. ი. პერინი.



სახელმწიფო თეატრი

### საჭიროა

თანამშრომელნი ქალნი და ვაჟნი ინტელიგენტთაგანი

ჩაწერა შეიძლება თეატრის კანტორაში 11 საათამდი. გამოცდა 10 სექტემბერს.



საზოგადოების საყურადღებოთ

## დავით იაგორის-ძე კალანდაძე

აცხადებს საზოგადოების საყურადღებოთ, რომ სარექტიფიკაციო ქარხანა

### კონიაკის, არაყის და ლიკიორის

გ. ნ. აივაზოვისა, ყოფილი სავაჭრო სახლი ამ. სეიდ ნოვეგისა პირველ მარიამობისთვიდან გადმოვიდა მის საკუთრებათ. ახლო ხანში სასმელები გამოვა კალანდაძის ფირმით სადგურის ქ. № 5, სახლი სომხების სასულიერო სემინარიისა.

27



ვაძლევ უცხო ენის გაკვეთილებს

### ფრანგულ, გერმანულ, იტალიურ ენებისას,

როგორც თეორეტიულად, ისე პრაქტიკულად.

დიპლომი მიღებული მაქვს პარიზის უნივერსიტეტ. სორბონიდან.

მისამართი: სასამართლოს ქ, 38. ბარდა—ორლა



სხვაგან სად! თუ არ სასადილო

### „ტაშირში“!

ყოფილი „ეკონომია“)

პუშკინის ბაღის პირდაპირ

ვისაუზმოთ დილ. . . . . 10—12 ს.

ვისადილოთ ,, . . . . 12—6 ს.

ვივახშმოთ ,, . . . . 6—12 ს.

ევროპიულ გემრიელ საჭმელებით, და და ვლიოთ: მაგარი სასმელები და მადნეულ წყლები

მობრძანდით და დარწმუნდით.


## ახალი მეზობელი.

გუშინდელი დეპეშების ცნობით, შავი ზღვის სან პიროს ახალი ძალა დაგვიმეზობლდა: გენ. ვრანგელის ჯარებს გაუდევნიათ სოჭის მხარეში დაბანაკებული ბოლშევიკები და დაუჭერიათ რაიონი ადლერიდან სოჭამდე.

ამავე დროს, როგორც სხვა ცნობებიდან სჩანს გაბატონებულ ბოლშევიკების წინა აღმდეგ მოძრაობა დაწყებულა ჩრდილო კავკასიაშიც, სადაც გლეხობა და ყაზახობა თან და თან გადადიან გენ, ვრანგელის მხარეზე. ამრიგათ ჩვენს ჩრდილოეთ საზღვრებთან ისევ მოსალოდნელია ამ ორი მებრძოლი ძალის შეტაკება და განმეორება ყველა იმ ამბებისა, რომელთაც ადგილი ჰქონდათ ამ რამოდენიმე თვის წინეთ. ეს ორი ძალა რომელიც ერთი მეორეს სცვლიან რუსეთის დაუსრულებელ სამოქალაქო ომში, ერთი მეორეს სცვლიდენ ჩვენს ჩრდილოეთ საზღვრებზედაც და საქართველო საკმაოთ იცნობს ორივეს და მათს განწყობილებას ჩვენდამი:

ჩვენ ვიცნობთ ბოლშევიკებს: რამდენი დაპირებაც არ მიგვიღია მათგან, რომ ისინი სცნობენ ჩვენ დამოუკიდებლობას და ჩვენს წინა აღმდეგ არ იმოქმედებენ, არსებითად მაინც მთელი თავისი არსებით ჩვენი სახელმწიფოს დასანგრევათ არიან მომართულნი და არ გაუშვებენ პირველსავე ხელსაყრელ მომენტს, რომ თავისი განზრახვების ასრულებისათვის არ მოიხმარონ. თვით საბჭოთა რუსეთის მეთაურმა ლენინმა ერთ თავის მოხსენებაში განაცხადა, რომ ,,საკმაოა გასთალოთ პირველივე კომუნისტი, რომ ხელში რუსი ნაციონალისტი შეგრჩეთ''-ო და ამ მხრივ სავსებით მართალია. საბჭოთა რუსეთის იდეოლოგი—ყოველი რუსი მატარებელია დიდი რუსეთის იდეისა და არასოდეს არ შეურიგდება ჩვენს დამოუკიდებლობას;

მართალნი ვიყავით ჩვენ, როდესაც ვამბობდით, რომ ყოველივე რუსეთში გაბატონებული ძალა, დემოკრატიული იქნება იგი, თუ რეაქციონერნი, თავისინტერესებით შეურიგებელი იქნება საქართველოს ინტერესებთან. ამიტომ იყო, რომ დენიკინის ლაშქარიც და „წითელი“ ჯარები, მიუხედავათ იმისა, რომ სასიცოცხლო ბრძოლას აწარმოებდნენ ერთი მეორესთან, ჩვენთან ორივე მუდმივი ომიანობის მდგომარეობაში იმყოფებოდნენ

საბჭოთა რუსეთის ჯარების გამარჯვებამ, დენიკინის სრულებით გადააგდო რუსეთის სინამდვილის სცენიდან და დარჩენილი მისი ნაწილები ყირიმში მიაქცია მაგრამ რუსეთისათვის ბედს პერმანენტული სამოქალაქო ომი დაუწერია და ეს დარჩენილი ნაწილები ახალი სარდლის მეთაურობით და განახლებულის ლოზუნგებით ისევ გამოსცილდნენ ყირიმს თავშესაფარს და სჩანს, დღითი დღითი დღე აფართოებენ თავის მოქმედების ფარგლებს და უკვე ჩვენს ჩრდილოეთ საზღვრებთანაც დაგვიმეზობლდნენ

როგორი უნდა იყოს ჩვენი განწყობილება ამ ახალ მეზობელთან?

საქართველოს იმ თავითვე გამიჯნა რუსეთში მომქედ პოლიტიკურ ძალების ბრძოლისაგან და სრული ნეიტრალიტეტი გამოაცხადა; ამ ნეიტრალურ სახელმწიფოს მდგომარეობიდან არ გამოვა იგი არასოდეს, თუ პირდაპირ მის წინააღმდეგ არ გამოილაშქრეს და ყოველ მეზობელ სახელმწიფოსადმი იგი დაიცავს ასეთ დამოკიდებულებას, როგორც ითხოვს მეზობლობის მოვალეობა და ურთიერთ შორის ინტერესები; და თუ გენ. ვრანგელის ძალები ასეთი განწყობილებით იქნებიან გამსჭვალულნი, მშვიდობიანობა ჩვენს საზღვარზე ორივე მხარისაგან უზრუნველყოფილი იქნება;

ხოლო, თუ გენ. ვრანგელმა გენ. დენიკინისგან მთავარ სარდლის ხმალთან ერთად მისი მისწრაფებანიც მიიღო ჩვენს წინააღმდეგ, მაშინ, ოსაკვირველია, ჩვენ ისევე მზად ვიქნებით მისი იერიშების უკუსაქცევათ, როგორც ეს გენ. დენიკინის სარდლობის დროს იყო.

მაგრამ თუ გენ. ვრანგელის ინტერესებს, მხოლოდ რუსეთის განთავისუფლება შეადგენს ბოლშევიკებისაგან, მისმა გზამ სრულებით სხვა მიმართულება უნდა მიიღოს და ჩრდილოეთისკენ გაემართოს.

## რეაქცია თუ გაჯანსაღება.

კაცობრიობის ერთი ნაწილის აზროვნება ისეა გაფიცხებული რევოლუციური ალით, რომ ხალხთა ცხოვრებაში ყოველივე მოძრაობა, რაც კი მათს სულიერს განწყობილობას არ შეეფერება, დიდს უბედურობად, რეაქციად და კონტრევოლიუციად ესახებათ.

სოციალისტური წრეები მეტად შეძრწუნებული არიან. ევროპაში რეაქცია გამეფდა, ამერიკაში კიდევ უარესი რეაქციული პოლიტიკა მყარდებაო.

რაში გამოიხატება ეს რეაქცია? საშიშია თუ არა ის კაცობრიობისათვის? უწინარეს ყოვლის, ეს რეაქცია არ ჰბადებს იმ ანარქიას და სამოქალაქო ომს, რომელსაც ჰბადებს ყოველგან უკიდურესი სოციალისტური პოლიტიკა. ეს რეაქცია არ აბატონებს უმცირესობას უმრავლესობაზე, არ აბათილებს ხალხის წარმომადგენლობით უფლებას და არ აბატონებს თვითნებობას, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ყველგან, სადაც სოციალისტური პოლიტიკა სწარმოებდა.

# დღეს

პოლონელებმა წითელი არმიელები ერთ-ერთ ქალაქის ფორტებთან მიიტყუეს და პისულსკის ხელმძღვანელობით ალყა შემოარტყეს.

საბჭოთა რუსეთში ს. რევოლიუციონერებს სდევნიან.

ინგლისის ნაომოსანმა დაიჭირა ტრაპეზუნდში ქემალისტებისათვის გაგზავნილი იარაღებით დატვირთული გემი.

ცნობილი ეკონომისტი ვიქტორ ფიშერი ამტკიცებს, რომ საბჭოთა რუსეთს უცხოეთში გასატანი ხორბალი არ აქვს.

ჟოტსმა გამოიგონა ახალი რადიო აპარატი, რომლითაც მფრინავ აეროპლანებთან უმავთულოდ ლაპარაკი შეიძლება.

ინგლისის მუშები ხელფასის გადიდების წინააღმდეგნი არიან.

საფრანგეთის უმაღლეს კომისრად საქართველოს მთავრობასთან შევალიე დაინიშნა.

**წ ე რ ი ლ ე ბ ი.**

მეთაური: ახალი მეზობელი.

რეაქცია თუ გაჯანსაღება!

დასაწყისის დასასრული.

პრესა: სოციალისტების ატესტაცია.

ნ. კეცხოველი: ბარათი თუშეთზე.

ჩვენი კორესპონდენტები: სენაკი. თიანეთი.

---

ევროპის და ამერიკის რეაქცია გამოიხატა იმაში, რომ მთელი ხალხი, გარდა ფაბრიკის მუშების მცირე ნაწილისა, ზურგს ხედრდა სოციალისტურ პარტიებს, რომლებსაც ბევრი მათგანი წინად ერთგვარი ნდობით უყურებდნენ. ბოლშევიკების მიერ გაღრმავებულმა სოციალიზმმა დაარწმუნა ევროპის ხალხი, რომ სოციალისტური პარტიების მიერ ნაქადაგები ძმობა, სამართლიანობა, მშრომელთა ტვირთის შემსუბუქება და სხ. არის მხოლოდ შირმა, რომლის იქით იმალება სიღარიბე, სილატაკე და მშრომელთა გასაჭირი ყველგან, სადაც კი ხალხი სოციალისტურ მმართველობას შექმნის.

არ არის გასაკვირველი, რომ ევროპის შეგნებულმა ხალხმა სწრაფად აქცია ზურგი სოციალისტურ პოლიტიკას, როგორც კი მისი შედეგები გამოირკვა.

ეხლა სოციალისტურ პოლიტიკას გასავალი მხოლოდ ჩამორჩენილ ქვეყნებში და ეძებს. არ არის გასაკვირველი, რომ ლენინმა, რომელსაც ასე დიდი იმედი ჰქონდა ევროპაში სოციალური რევოლუციის ცეცხლის დანთებისა, თითქმის სრულიად გაანება თავი ევროპას და პირი ჰქნა აზიის ჩამორჩენილ ქვეყნებისაკენ. იქ არის სიბნელე, უმეცრება, იქნებ კიდევ დაიჯერონ რომ სოციალისტური პოლიტიკა მათს მდგომარეობას გააუმჯობესებს.

დიაღაც რომ დიდი რეაქცია გამეფდა ევროპის და ამერიკის ქვეყნებში. მაგრამ ეს რეაქცია სრულიად არ ემუქრება ერის უმრავლესობის ინტერესებს. წინააღმდეგ ამისა, ის ემსახურება მშვიდობიანობას განმტკიცებას და ხალხთა ურყეველი თავისუფლების დამყარებას.

სოფლის და ქალაქის მესაკუთრენი, ყველა ჯურის მწარმოებელნი და საზოგადოდ ყველა ის წრეები, რომელნიც ქმნიან ჩვენს ცხოვრებას, უფრო და უფრო იჯგუფებიან და კავშირდებიან. მათ შეიგნეს, რომ ხალხის უმრავლესობა შეიძლება მონად გაიხადოს სულ მცირე ჯგუფმა, უკეთუ უმრავლესობა დაქსაქსულია. ამის საუკეთესო მაგალითს იძლევა რუსეთი. მშვიდობიანობისა და წესიერების ნიადაგზე შეკავშირებული უმრავლესობა სასტიკ ბრძოლას უცხადებს ყოველგვარ უკიდურესობას, მარჯვნით იქნება ეს თუ მარცხნივ. ხალხს აქვს გასავალი არც ბოლშევიკურ გამოვლენისა და არც უკიდურეს მემარჯვენეთა ინტრიგების. ხალხი უმხედრდება მემარჯვენეთა გადატრიალების ცდას, მაგრამ იგივე უმხედრდება სოციალისტების მიერ გამოწვეულ. უსაფუძვლო გაფიცვებს, ისეთს გაფიცვებს, რომელთაც ცხოვრების არევ-დარევისთვის იწვევენ უკიდურესი პარტიები. ევროპაში უკანასკნელ დროს მრავალი მაგალითი იყო, რომ ხალხის ჩარევამ შესწყვიტა ასეთი გაფიცვები.

ევროპის დაწინაურებულ ქვეყნებში აღმოცენებულს ასეთს მოძრაობას ბევრი რეაქციის გამეფებას უწოდებს.

ვისურვებთ, რომ ასეთი რეაქცია ყველგან გამეფებულიყოს.

## დასასრულის დასაწყისი.

ანტანტის პრემიერები და სახელმწიფო კაცები არასოდეს იმას არ ამბობენ, რასაც ჰფიქრობენ: ბანკეტებისთვის, პარლამენტისათვის და საინტერვიუოდ მათ საკუთარი ტერმინები და ორაზროვანი წინადადებები აქვთ დამზადებული; ყველა მათგანი ასე იწყება:

„იმდენად, რამდენადაც“, და „საზოგადო ადამიანებსაც“ ჰგონიათ ყველაფერი გაიგეს.

საქართველოში კუკოლისი ამ მხრით ბრიტანეთის არტისტული პოლიტიკის მთლიანი სახიერება იყო; ეს უცნაური ადამიანი ისე მოვიდა და ისე წავიდა საქართველოდან, რომ ერთხელაც სიმართლე არ უთქვამს, მაგრამ უნდა აღინიშნოს ჩვენი დემოკრატიის სასახელოდ, რომ აუდიტორიაც მომზადებული დახვდა:

ბათომის ჩაბარების დღეს ოცდაათი საათის განმავლობაში ადგილობრივ სარდაფებში შეიარაღებულმა ბატალიონმა, საზეიმო მარშით რომ შეაცვა ანტანტის გენერალ კიტეტს, კუკოლისი გაოცდა: საიდან, როდის!

და გეგეჭკორმაც კმაყოფილებით ჩაიცინა.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბათომის შეერთების დღიდან განმტკიცდა ქართული პოლიტიკის ტრადიცია, რომელსაც დღევანდელ საერთაშორისო მომენტში მეორე დიდი საერთაშორისო გამოცდა უნდა ჩააბაროს: ესაა საქართველოს დამოკიდებულება ყოფილი საიმპერიო რუსეთში შექმნილი სხვადასხვა სახელმწიფოებრივ ელემენტებთან.

ქართველ ნაციონალისტისათვის და ქართველ დემოკრატიისათვის ერთნაირად საყურადღებოა ის ფაქტი, რომ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში ანტანტამ მეტი ნივთიერი და ფსიხოლოგიური ენერგია მიაშველა პოლონეთს, ვიდრე დენიკინ-კოლჩაკებს, და ყველა დანარჩენ „დიდი რუსეთის“ მანიით შეპყრობილ ძალებს. იდეური თანაგრძნობა, გამოხმაურება და ანტანტის პარლამენტების მჭერმეტყველობა არ გამოუწვევია მთლიანი რუსეთის მოტრფიალე გენერლების დამარცხებას, რამდენიც პილსუდსკის ლაშქრის დამარცხებამ გამოიწვია. აქედან შეიძლება გამოვიტანოთ ის დასკვნა, რომ ევროპის პოლიტიკოსებს „დიდი რუსეთის“ დოსტაქოდ პატარა რესპუბლიკები გამოჰყავთ, რასაც არც ერთ [illegible] ზე არ იტყოდნენ მილიერანები და ლოიდ ჯორჯები.

აშკარაა, რომ საბჭოთა რუსეთის იმპერიალისტურ პოლიტიკის დამარცხება, —რომელიც ლენინმა მილიუკოვისგან მემკვიდრეობით მიიღო მარტო ბოლშევიზმის [illegible] განთავისუფლებას არ ნიშნავს, არამედ რუსეთის კოლონიალურ პოლიტიკის დამარცხებასაც.

ეს ორი მიმდინარეობა ობიექტიურად ჩაქსოვა ერთ-მეორეს და ევროპის სარდლობაც პოლონელებთან ერთად მოწინავე პოზიციებზე იბრძვის.

ჩვენ არ ვიცით, რით დამთავრდება რუსეთ პოლონეთის ომი!. მაგრამ თვით ბოლშევიკების პარტიულმა კონფერენციამ, რომ დასავლეთის ფრონტი წაგებულად აღიარა ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ პროლეტარიატის ფილოსოფიის ქვეშ დიდი რუსეთის აღდგენის გეგმა დაფარული დასაწყისი დასასრულს უახლოვდება.

ყოფილი რუსეთის ტერიტორიაზე აღმოცენებულ პატარა რესპუბლიკების პოლიტიკა ამ შემთხვევაში ნათელი და პირდაპირი უნდა იქნეს.

შესაძლებელია რუსის გლეხში ამ გარემოებამ დიდი პატრიოტული ცეცხლი დაანთოს, მაგრამ დღევანდელ პეტროგრადსა და მოსკოვში ისე ცოტაა საომარი მასალა, რომ ეს ცეცხლი სხვაგან ვერ დასწვავს.

ანტანტამ თავის საგარეო პოლიტიკაში ერთი დიდი საქმე უკვე გააკეთა აგვისტოს ათსა და ამ დღიდან ავადმყოფი ადამიანი მოკვდა, ოსმალეთის საფრთხე ევროპისათვის ამიერიდან აცილებულია.

მეორე დიდი საქმე დამთავრდება მაშინ, როდესაც რუსეთს თავის ბუნებრივ კალაპოტში მოამწყვდევენ.

საბჭოთა რესპუბლიკაში არ არის დღეს არც ერთი ისეთი მიმდინარეობა, რომელთანაც შეეძლოს საქართველოს მშვიდობიანი და უშიშარი თანამშრომლობა: ამ მხრივ საყურადღებოა რ. ს. დ. მ. პ. უკანასკნელი კონფერენციის დადგენილება, სადაც ჩვენი მენშევიკების ფრაქციული ამხანაგები ბოლშევიკებთან ერთად თანამშრომლობის აუცილებლობას ასაბუთებენ.

საქართველოს დემოკრატიის ხელმძღვანელთ თანამგრძნობნი და პარტიული მეგობრები უკვე აღარ ჰყავთ რუსეთში; მათ შორის ხიდი საბოლოოდ ჩატყდა და ამ ხიდის გადება არ შეიძლება სხვანაირად, თუ არა საქართველოს დამოუკიდებლობის უარყოფით.

ასეთს გადამწყვეტ მომენტს უთუოდ მიზან შეწონილად უნდა აერთვას ალღო რომ „დიდი რუსეთი“-ს ფანატიკოსებს ყველა კოზირი ხელშივე შემოაკვდეს.

ქ. მ.

## პ რ ე ს ა.

### „ერთობა“

**სოციალისტობის ატესტაცია.**

„ახ. კომუნისტსა და „ერთობას“ შორის საყურადღებო კამათია იმის შესახებ, თუ ვინაა მათ შორის ნამდვილი სოციალისტი. ამ შემთხვევაში ბ. ლ. ნათაძე ასეთს ატესტაციას იძლევა ჩვენი მთავრობის უეჭველ სოციალისტობის შესახებ:

საქართველოს სათავეში მდგომი სოციალ დემოკრატიულ პარტია, მართალია, ჯერ-ჯერობით შესაძლებლად ვერ სთვლის კერძო საკუთრების ერთის ხელის დაკვრით გაუქმებას, მაგრამ დღიდან თავის ჩადგომისა სახელმწიფოს სათავეში იგი მედგრათ არყევს ბურჟუაზიულ პრინციპს კერძო საკუთრების ხელშეუხებლობისა. და ამ პრინციპის შერყევისათვის მას ყოველდღე უხდება ბრძოლა იმ პარტიებთან, რომლებიც მტკიცეთ დგანან კერძო საკუთრების ხელშეუხებლობის და მუდმივობის თვალსაზრისზე. ამას დამტკიცება არ ესაჭიროება: ამ ბრძოლას თქვენ ამოიკითხავთ თუნდაც დამფუძნებელი კრების სტენოგრაფიული ოქმებიდან. მეორე პრინციპი, რომლის გამოც უხდება მმართველ პარტიას ბრძოლა ყოფილ გაბატონებული კლასების პარტიებთან, არის ვაჭრობა-მრეწველობის თავისუფლების პრინციპი. სახელმწიფოებრივი მონოპოლია, რომელსაც მტკიცეთ დაადგა ჩვენი სახელმწიფო, დღითი-დღე უფრო და უფრო ფართოვდება და ამასთან ერთად დღითი-დღე უფრო ვიწროვდება ვაჭრობა-მრეწველობის თავისუფლება. იდეალი, რომლისკენაც მიდის ჩვენი სახელმწიფო, მდგომარეობს იმაში, რომ მთელი ვაჭრობა მრეწველობა სახელმწიფოს საქმეთ გადიქცეს. ვაჭარ-მრეწველნი, რა თქმა უნდა, უბრძოლველად არ დასტოვებენ თავის პოზიციებს. გნებავთ ამ კლასიური ბრძოლის ნიშნები? კითხულობეთ და ჩაიხედეთ ჩვენს შინაურ ცხოვრებაში, ჩვენი დამფუძნებელი კრების, ადგილობრივი თვითმართველობის მუშაობაში და ჩვენს ცხოვრებაზე ნუ ასჯელოთ მოსკოვიდან.

ატესტატი საუცხოვო და დამარწმუნებელია მაგრამ მაინც საინტერესოა, მიიღებენ თუ არა მას „ახ. კომუნისტი“-ს პუბლიცისტები?

## სოხუმში საქართველოს ელჩის ჩასვლა.

აგვისტოს 1-ს სოხუმში ჩავიდა საქართველოს ელჩი მ. ი. ხოფერია. ჩასვლის თანავე სოხუმში მოწვეულ იქმნა ადგილობრივ მცხოვრებ ქართველთა კრება, სადაც ელჩმა დაახლოვებით შემდეგი შინაარსის სიტყვა წარმოსთქვა:

რუსეთსა და საქართველოს შორის ზავის შეკვრამდე სოხუმელებმა არაფერი იცოდნენ ორი რესპუბლიკის ურთი-ერთობის შესახებ. ამავე დროს ზავის შეკვრის შემდეგაც ყოველ ქართველს უკვირდა თუ რატომ არ უმკვიდრდება ქართველებს საქართველოში, და რად ახდენდა საბჭოთა მთავრობა ადგილობრივი ქართველების მობილიზაციას. იმ ხანებში მე მივიღე მანდატი საბჭოთა რუსეთთან საზავო პირობების შესამუშავებლად გაგზავნილი წარმომადგენლისაგან, მაგრამ მაშინ ვერ მოვახერხე ამ ორ რესპუბლიკის ურთი-ერთი დამოკიდებულების გამორკვევა და საინფორმაციოდ თბილისს გავემგზავრე. საქართველოში მე მივუსწარ ბათომის შეერთების დღეებს. ინგლისელები ხალისიანად ვერ სტოვებდნენ ბათომს. ინგლისელებს გარდა ბათომში იყვნენ 5000 დენიკინელები და სხვა ანტიდემოკრატიული ელემენტები, რომელნიც ქართველი ჯარის ბათომში შესვლას ხელს უშლიდნენ. მაგრამ ჩვენმა დიპლომატიამ თავისი სიმწიფე დაამტკიცა. მან მოახერხა უნაყოფო სისხლისღვრა თავიდან აგვეცდენოდა და ინგლისელებსთან ენერგიული მუშაობით ბათომი ჩავიბარეთ.

საქართველოში ბოლშევიკები არ იდევნებიან. თბილისში იმყოფება საბჭოთა რუსეთის საელჩო კიროვის მეთაურობით.

მე დამნიშნეს სოხუმში არა იმისთვის რომ განვაგო ეს მხარე, არამედ ადგილობრივი ქართველ მცხოვრებთა ინტერესების დასაცავად. საქართველოს რესპუბლიკის ყველა ქვეშევრდომი ვალდებულია დაიცვას სრული ნეიტრალიტეტი სამოქალაქო ომის პროცესში თანახმად ხელშეკრულებისა. საბჭოთა რუსეთი და საქართველო ხელშეკრულების ძალით აგრესიულ პოლიტიკას ვერ აწარმოებენ ურთი-ერთის წინააღმდეგ; სწორედ იმიტომ იყო, რომ საქართველოს საზღვრებიდან რუსეთის წინააღმდეგ გადასული 9 ქართველი მოქალაქე ჩვენ დასასჯელად საბჭოთა რუსეთის მთავრობას გადავეცით.

**ქართველების კრება.**

აგვისტოს 8-ს საქართველოს ელჩის მოწვევითა და რევკომის ნებართვით შესდგა საერთო კრება. შკოლისა და სურსათის საკითხთა შორის განხილულ იქმნა ეროვნულ საბჭოს გაუქმების საკითხიც.

ეროვნული საბჭოს თავმჯდომარის ს. პ. სვანიძის მოხსენების შემდეგ კრებამ დაადგინა გაუქმდეს საბჭო და მის მაგივრად დაარსდეს, ქართვ. კულტურ. განმანათლებელი საზოგადოება.

საბჭოს რევიზიის მოსახდენად არჩეულ იქმნა კომისია შემდეგი პირებისაგან: მ. ცხადაია, კ. ქორიძე და ე. ჯაკობია.

## პოლკ. ჰასკელი საქართველო-სომხეთის შესახებ.

პოლკ. ჰასკელს, რომელიც ამიერ-კავკასიაში იყო ამერიკის უმაღლეს კომისრათ სტამბოლში ჩასვლისას საუბარი ჰქონია გაზ. „ბოსფორის“ თანამშრომელთან, რომელიც სხვათა შორის ასე გადმოგვცემს ამ საუბარს:

როგორი აზრის ხართ საქართველოს მთავრობის შესახებ? შეუძლიათ თუ არა ქართველებს ადმინისტრაციის და მართვა-გამგეობის მოწყობა?

მე ვაფასებ ხალხს მათი მოქმედებით განაცხადა ბ-ნმა ჰასკელმა—მე ვხედავ რომ ისინი პატივს სცემენ კერძო „საკუთრებას“, უფლებას იცავენ წესრიგს და კეთილ განწყობილებას სხვა ქვეყნებთან. ჩემთვის ეს სავსებით საკმარისია.

— შეუძლიანთ თუ არა საქართველოსა და სომხეთს წინაღუდგნენ ბოლშევიკებს?.

— რუსეთი დიდი ქვეყანაა და მებრძოლი ხალხის რიცხვი მეტად დიდია; თუ ევროპას სურს, რომ საქართველომ და სომხეთმა დაიცვან თავი და წინაღუდგნენ ბოლშევიკების შემოტევას, უნდა მისცენ ამ ქვეყნებს ფინანსიური და დიპლომატიური დახმარება.

სამხედრო დახმარება?

ასეთი დახმარება მეტად სასარგებლო იქნებოდა ამ ქვეყნებისათვის.

# დ ე პ ე შ ე ბ ი

## ინგლისური პრესა.

**ვიქტორ ფიშერის წერილი საბჭოთა რუსეთის ეკონომიურ მდგომარეობის შესახებ.**

ეკონომიური პრესა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს საბჭოთა რუსეთის ეკონომიურ მდგომარეობას. ვიქტორ ფიშერის ერთ ერთ ეკონომიურ ჟურნალში რუსეთის ეკონომიური სულთაბრძოლას აღნიშნავს და ამბობს, რომ რუსეთს არაფრის გატანა არ შეუძლია თავის „საზღვრებიდანო“ საბჭოთა მთავრობა, ამბობს ავტორი მას მიერ დამზადებულ 15 მილიონ ხორბალზე მიგვითითებს. მაგრამ 1912 წელში, როდესაც რუსეთში პურის საუკეთესო მოსავალი იყო, ძლივს ამ ციფრის ნახევარზე მეტი იყო „გამოტანილი. თუ მართლაც ასეთი დიდძალი ხორბალი არის დამზადებული, საკვირველია რატომ არ ანაწილებს საბჭოთა მთავრობა ამ პურს თავისავე დამშეულ ამხანაგებში რუსეთის მდგომარეობა თავის თავად მეტყველებს: რუსეთის მანეთის კურსის საშინელი დაცემა ნიშნავს რუსეთის სრულ გაკოტრებას. საქმე არა მარტო მრეწველობის დაცემაშია. არამედ იმაში, რომ მიწის დამუშავება 70 ით შემცირდა (დ. ს).

**მრეწველობის მდგომარეობა ინგლისში.**

„დეილი“ მეილი“ სწერს: ინგლისის მრეწველები საჩივარს აცხადებენ მოგებაზე დიდ გადასახადის დაწესების გამო. ზოგიერთი სამრეწველოები „სახელმწიფოსათვის იხდის თავის მოგების 40%—ს.

**ინგლისის მუშები ხელფასის გადიდების წინააღმდეგ**

„ტაიმსი“ სწერს: ინგლისის რკინის გზის მოსამსახურეთა კონფერენციამ გამოიტანა შრომის ხელფასის გადიდების საწინააღმდეგო რეზოლიუცია. რეზოლიუციაში აღნიშნულია, რომ ცხოვრების გაძვირებას იწვევს მსოფლიო მეურნეობის დანგრევა და ქაღალდის ფულის სიმრავლე. შეკავშირებული მუშები უნდა შეეცადონ ამ მიზეზის მოსპობას. შრომის ხელფასის ზრდა აძლიერებს ცხოვრების გაძვირებას და ამიტომაც მუშებმა თავი უნდა შეიკავონ შრომის ხელფასის მომატების მოთხოვნაზე.

**ახალი რადიო აპარატი.**

„ტაიმსი იუწყება, რომ ჟოტსმა გამოიგონა აპარატი, რომლითაც შეიძლება მფრინავებთან უმავთულო დეპეშის გაგზავნა. თუ ძირს ჩამოშვება საჭირო იქნება მფრინავი სწრაფად აცნობებს ამას ახლო მდებარე რადიო სადგურს (დ. ს).

## ფრანგული პრესა.

**აზერბაიჯანის დელეგაციის განცხადება სპას კონფერენციაზე.**

„ტანი“ სწერს: აზერბეიჯანის რესპუბლიკის დელეგაციამ სპის კონფერენციას ორი ნოტა წარუდგინა. პირველ ნოტაში აღნიშნულია რესპუბლიკის მდგომარეობა და ის პირობები რომელშიაც ბოლშევიკებმა აზერბეიჯანი ჩააყენეს. საბჭოთა შეპირება, რომ პატივისცემით მოეკიდებოდენ აზერბეიჯანის რესპუბლიკის დამოუკიდებლობას, არ იქმნა შესრულებული. დახვრიტეს მთავრობის წევრები და გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეები. სახელმწიფო ქონებას რეკვიზიცია უყვეს და ხალხს გადასახადები დაადვეს. საბჭოთა რუსეთის პოლიტიკა წმინდა დამპყრობითი პოლიტიკა შეიქმნა და ხალხი პროტესტს აცხადებს ამ პოლიტიკის წინააღმდეგ. ნოტაში მოთხოვნილია მოკავშირეებისაგან დახმარება ბოლშევიკებისაგან თავის დასახსნელად. მეორე ნოტაში აზერბაიჯანის დელეგაციის წევრები თხოულობენ, რომ მისცენ მათ ნება დაესწრონ ლონდონის კონფერენციას, რომელიც გამოარკვევს საბჭოთა რუსეთის ახლად შექმნილ სახელმწიფოებთან დამოკიდებულებას. აზერბაიჯანის დელეგაციის აზრით ამ კონფერენციას უნდა დაესწრონ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა წარმომადგენლებიც და მათ რიცხვში აზერბაიჯანისაც. „ტანის“ ცნობით აზერბაიჯანის დელეგაცია მიიღო გრაფმა სფორცამ და ბელგეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა.

**რუსეთ-პოლონეთის მოლაპარაკება.**

თანახმად ვარშავიდან მოსულ ცნობებისა, მიუხედავად საბჭოთა რუსეთის დელეგაციის განცხადებისა, დამოკიდებულება პოლონეთის დელეგაციასთან ძლიერ გაძნელებულია, საპეგამ, პოლონეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა, ჩიჩერინს გაუგზავნა რადიო დეპეშა, რომელშიაც იგი იმოწმებს, რომ საბჭოთა მთავრობა თანახმად დაპირებისა, პოლონეთის დელეგაციასთან დამოკიდებულების დაჭერის შეძლებას მოგვცემსო.

**პოლონეთი თავდაცვითი ომს აწარმოებს.**

„პტი პარიზიენი“ ბეჭდავს ლონდონში მყოფ პოლონეთის ელჩის განცხადებას. პოლონეთი აწარმოებს ომს იმ მიზნით, რომ ბოლშევიკები განდევნონ პოლონეთის ტერიტორიიდან, ჩვენ გვინდა რაც შეიძლება ჩქარა, მოვაწეროთ ხელი ზავს, მაგრამ ჩვენ არ მივიღებთ ისეთს პირებს, რომლებიც (დამახინჯებულია).

**წესიერება ბათომში.**

„ტანი“ იუწყება, რომ ბათომისა და მისი ოლქის საქართველოზე გადაცემის შემდეგ აქ საგანგებო წესიერება დამყარდა. უცხოეთის სავაჭრო გემები ნავთსადგურში წინანდებურად ნორმალურად შედიან. სავაჭრო დამოკიდებულება ევროპასთან დაუბრკოლებლივ ვითარდება.

**ფრანგული პრესა საქართველოზე.**

უკანასკნელ ჟამს ფრანგული პრესა დიდ ყურადღებას აქცევს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს, განსაკუთრებით საქართველოს. ამ მხრივ [illegible] „ტანი“, რომელიც [illegible] ლავს საქართველოს თანამედროვე მდგომარეობას და ანტი ბოლშევიკურ მის განწყობილობას.

## გერმანული პრესა.

**პროფესიონალურ კავშირთა კონგრესი.**

გერმანიის პროფესიონალურ კავშირთა კავშირი და დაქირავებულ მოსამსახურეთა ლიგის კომიტეტი ეკონომიურ პოლიტიკურ და მათ შორის სოციალისტურ საკითხების განსახილველად პირველად იწვევს თავის საბჭოების კონგრესს.

თანახმად აღმოსავლეთ გერმანიიდან მოსულ ცნობებისა, რუსეთის 6—7 ათასი ჯარის კაცი ნეიდენბურგის ახლო გერმანიის საზღვარზე გადასულა. მათი განიარაღება მშვიდობიანათ ჩატარდა. რუსები მოათავსეს იქ, სადაც 2000 პოლონელი დეზერტირი იყო მოთავსებული.

**წიგნების ბეჭვდის საქმე გერმანიაში.**

აგვისტოს 10. გაზეთების ცნობით ბერლინის სამეცნიერო აკადემიამ შესწყვიტა თავის შრომათა გამოცემა გერმანიაში წიგნის ბეჭვდის საშინლად გაძვირების გამო.

**კოპენჰაგენი.** აგვისტოს 12. დანიის მთავრობამ ხელი მოაწერა დანიაზე ჩრდილოეთ შლეზვიგის დანიაზე შეერთების აქტს.

**ჰუნგრეთი და ბოლშევიკები.**

გერმანული პრესის ცნობით ჰუნგრეთს ფართო ლაშქრობა დაუწყია მოსკოვის მთავრობის წითელ ჯარების წინააღმდეგ. მათ მხარს უჭერენ რუმინელებიც. ჰუნგრელთა და რუმინელთა შეერთებულ ჯარებს უკვე რამდენჯერმე მიუღიათ შეტაკება საბჭოთა ჯარებთან. მიზანი ისაა, რომ ამით მდგომარეობა შეუმსუბუქონ პოლონეთის ჯარებს. ინიციატივა საომარ მოქმედებისა თუ ფრონტის ხელში ყოფილა, რომელთაც ვერ მოახერხეს რომ სამხედრო იარაღი გერმანეთზე გაეტარებინათ პოლონელთა დასახმარებლად.

**ხელშეკრულება პოლონეთსა და დანციგს შორის.** დანციგის სოციალისტურმა პრესამ გამოაქვეყნა პოლონეთ-დანციგის ხელშეკრულების პროექტი, რომელიც სულ მოკლე დროში განსახილველად დამფუძნებელ კრებას წარედგინება. თანახმად ამ პროექტის განზრახულია ორივე სახელმწიფოსთვის ერთი მესაზღვრე—ზონის შექმნა. პოლონეთმა უნდა მიაწოდოს დანციგს სურსათ-სანოვაგე და ნახშირი განსაკუთრებულ დაწესებულ ფასებში. დანციგი თავის მხრით უზრუნველყოფს პოლონეთის მიერ ნავთსადგურით და წყლის გზებით სარგებლობას. რკინის გზების საკონტროლო კომისია შესდგება. რაც შეეხება მდინ. ვისლაზე ნაოსნობას, ორივე სახელმწიფო (დამახინჯებულია).

## ლიონის ცნობა

**პოლონეთის გამარჯვება.** ბოლშევიკური, ჯარი რომლებიც მლავის და სოლდაუს რაიონში არის მომწყვდეული, ცდილობს წრის გარღვევას. ორი დღის განმავლობაში პოლონელებმა ამ რაიონში ხელთ იგდეს 11.000 ტყვე. პოლონეთის მთავარმა ძალებმა დაიკავეს მთელი ტერიტორია... (დამახინჯებულია) ნარევსა და ბუგს შორის. ბრძოლა, რომელიც ბუგის მიმდინარეობის შუაგულში დაიწყო, გადასწყვეტს ნარევისა და პრუსიის საზღვარს შორის მყოფ წითელ ჯარების ბედს. ბოლშევიკების ცდა გრუბეშოვთან უშედეგოთ დასრულდა. პოლონეთის ჯარები, რომლებმაც ბრესტ-ლიტოვსკი დაიკავეს მაგრდებიან აღმოსავლეთის საზღვრებზე (დამახინჯებულია).

**თათბირი ლიუცერნში.** პარიზში მყოფმა ინგლისის ელჩმა გარეშე საქმეთა მინისტრს ოფიციალურად აცნობა ტექსტი (დამახინჯებულია), რომელიც ლიუცერნში ლოიდ ჯორჯის და ჯიოლიტის შეხვედრის შემდეგ შემუშავდა. ამ ცნობის საპასუხოდ გარეშე საქმეთა მინისტრმა ინგლისის ელჩოში შემდეგი ნოტა გააგზავნა: საფრანგეთის მთავრობა მადლობას უთვლის ინგლისის და იტალიის მთავრობებს ცნობის გამოგზავნისათვის და ბედნიერია მათ, რომ ცნობაში არ არის არაფერი ისეთი, რაც ეწინააღმდეგებოდეს იმ იდეებს და პრინციპებს რომელთაც საფრანგეთი იცავს. მიიღო რა ლიუცერნიდან გამოგზავნილი ლოიდ ჯორჯისა და ჯიოლიტის დეპეშა მილიერანმა თავის პასუხში განაცხადა, რომ იგი ნასიამოვნებია მათი ყურადღებით და იმედი აქვს, რომ მალე პირადათ შეხვდება, როგორც ჯიოლიტს, ისე ლოიდ ჯორჯს.

**ინგლისი და იტალია საბჭოთა რუსეთის შესახებ საფრანგეთის პოლიტიკის**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ხაყსებით იზიარებენ.**

კოკუზაის სააგენტო ტოკიოდან იუწყება, რომ საფრანგეთის პრესა იმ თათბირის შედეგს, რომელიც ლიუცერნში შესდგა სიამოვნებით ეგებება. ეს ნიშნავს იმას, რომ დიდი ბრიტანეთის და იტალიის მთავრობები მომავალში საფრანგეთის მთავრობასთან შეთანხმებით იმოქმედებენ. პოლონეთის და რუსეთის შესახებ ინგლისის და იტალიის წარმომადგენლები იძულებულნი იყვნენ აღიარებიათ, რომ საბჭოთა მთავრობის მიერ წამოყენებული პირობები ყოვ ად მიუღებელია. საფრანგეთი კმაყოფილებას გამოსთქვამს, რომ ინგლისმა და იტალიამ ამ ჟამად საფრანგეთის თვალსაზრისი გაიზიარეს. ამ რიგად საბჭოთა რუსეთის იმედები, დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში უთანხმოების შ ქმნისა დაიმსხვრა.

# მოსკოვის ცნობები.

**„პრავდა" ბოლშევიკების დამარცხების შესახებ.**

წერილში, რომელსაც სათაურად აქვს „ახალი ბრძოლების წინ" სწერს: იმის და მიხედვით, თუ როგორია ჩვენი სამხედრო მდგომარეობა პოლონეთის და ბარონ ფონ ვრანგელის ფრონტზე საფრანგეთი თავის მოქმედებას აცხოველებს. საფრანგეთი ყოველგვარ საშუალებით ცდილობს შეუვიწროვოს ხელი სკანდინავიის ქვეყნებთან დამოკიდებულების აღდგენაში. იგი უგზავნის პოლონეთს ძალებს, გაძლიერებულად აწვდის სამხედრო მასალას ბარონ ფონ ვრანგელს. ჩვენმა დამარცხებამ საფრანგეთის ფითები შეასხა. ბარონ ვრანგელს ლტოლვილთა სახით ჯარის კაცებსა და ოფიცრებს უგზავნიან. დანციგ ს ახლოს საფრანგეთის გემები სამხედრო მოკაზმულობის გადმოტვირთვას ხელს ძლკანდლობენ და ამისათვის სამხედრო [illegible] ობას თვალყურს ადევნებენ. ჩვენ ახალი ბრძოლების წინ ვდგევართ. ჩვენ ეჭვიც არ შეგვაქვს ჩვენს გამარჯვებაში, მაგრამ მსხვერპლის შესამცირებლად რათაც არ უნდა დაგვიჯდეს პანებისა და ბარონების წინააღმდეგ ყოველგვარი ზომები უნდა მივიღოთ. ეს ძნელი საქმეა, მაგრამ ამ აუცილებლად უნდა გაკეთდეს".

**პეტროგრადის პასუხი თეთრგვარდიელთა ახალ შეტევაზე.**

გავიგეთ რა პოლონეთის ფრონტზე მტრის შეტევაზე გადმოსვლა და ჩვენი სახელოვანი ჯარების იძულებით უკან დახევა, პეტროგრადის კომიტეტი და პეტროგრადის აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს: ორი საათის განმავლობაში მოახდინოს თავის ორგანიზაციის საუკეთესო წევრთა მობილიზაცია. ვარშავა, რათაც არ უნდა დაგვიჯდეს უნდა ავიღოთ. პოლონეთის პანები ერთხელ და სამუდამოთ უნდა დაილუპონ.

# სევასტოპოლის ცნობა.

**საბჭოთა რუსეთის მოქალაქეთა სტატისტიკა.**

**სევასტოპოლი აგვისტოს 12.** „იუგო როსიი" იუწყება: მოსკოვის ეკონომიურმა თათბირმა საბჭოთა რუსეთის მცხოვრებთა აღწერის შედეგები გამოაქვეყნა. თანახმად ამ აღწერისა, რუსეთის მცხოვრებთა რიცხვი 82.000.000 აღწევს, ამ რიცხვიდან რიცხვი მუშებისა და საბჭოთა დაწესებულებების მოსამსახურეებისა 10.500.000 ანუ იგი 12, 8 მეთედს უდრის მარტო მუშები მათი ოჯახების გამოკლებით 4.800.000 სულს უდრის. აღწერა მუშების შორის დაბადებათა შემცირებასა და სიკვდილის გადიდებას აღნიშნავს. კერძოდ მოსკოვის და პეტროგრადის მცხოვრებნი 2.400.000 სულს აღწევს ამ რიცხვიდან 75 მეათედს, შეადგენენ მუშები და საბჭოთა მოსამსახურენი.

# სტამბოლის ცნობა

**ბოლშევიკი ელიავა თურქესტანში.**

ამ ცნობების მიხედვით ბოლშევიკებმა დასავლეთიდან აღმოსავლეთში გადმოიტანეს თავის მოღვაწეობა. ამ მოღვაწეობს სათავეში უდგია ელიავა, რომელიც უკვე გაიგზავნა თურქესტანში. მიუხედავად ელიავას მიერ მიღებულ ენერგიულ ზომებისა, ბოლშევიზმა თურქესტანში მაინც ვერ ჰპოვა სათანადო ნიადაგი. ამასთანავე ბოლშევიკები ამუშავებენ აღმოსავლეთში და უმთავრესად ინდოეთში სამუშაო გეგმას. თავის განზრახვას იმით ასაბუთებენ, რომ ვიდრე ინგლისის მუშები არ მიიღებენ ბოლშევიზმს, მას ახალშენები არ ჩამოსცილდება. ინგლისს როგორც კი დაეკარგება ახლაშენები, მაშინ ინგლისის მუშას შემოაკლდება და ძალაუნებურად შესდგება ბოლშევიზმის გზაზეო. ამ გახურებულ მუშაობის დროს ბოლშევიკების საწინააღმდეგოდ გამოვიდა პოლონეთი, რომელმაც ხელი შეუშალა ბოლშევიკების ამ მიზნის სასწრაფოდ განხორციელებას.

**სოც. რევოლიუციონერების დევნა საბჭოთა რუსეთში.**

სტამბოლი აგვისტოს 12. მოსკოვიდან მიღებული ცნობით იქ ამ დღეებში მრავლად დაუპატიმრებიათ სოციალისტები და უმთავრესად ს. რ. სხვათა შორის დაპატიმრებულია ვოლსკი და რაკიტნიკოვი. გაძლიერებულად ეძებენ ვიქტორ ჩერნოვს.

**ბოლშევიკები და ქემალისტები.**

სტამბოლი აგვისტოს 10. „ჟურნალი დორიანტი" იუწყება: ინგლისის ნაღმოსანმა დააკავა ბოლშევიკების გემი დატვირთული იარაღითა და სამხედრო მასალით: გემი ოდესიდან ტრაპიზონს მიდიოდა. ეს იარაღი ქემალისტებისათვის იგზავნებოდა.

# ერობათა მოქმედება.

ერობათა კავშირმა რესპუბლიკის საერობო დაწესებულებათა მოქმედების შესახებ მოხსენება შეიმუშავა. მოხსენება რუსეთში მიმავალ მუმათა დელეგაციას გადაეცა. მოხსენებაში შემდეგი არის აღნიშნული. საქართველოს რესპუბლიკაში 20 სამაზრო ერობა და 350 თემი არის მოწყობილი. ამ რიცხვში არ შედის ბათომის ოლქი. ერობათა თვითმართველობის ხმოსანთა არჩევნები, თანასწორი, საყოველთაო და ფარული კენჭის ყრით ხდება. არჩევანი პროპორციონალ სისტემით არის აგებული. ერობა საერობო დაწესებულებათ ძირს პირობებში მოუხდათ მუშაობა, მაგრამ ერობებმა მცხოვრებთა საერთო ნდობა მაინც დაიმსახურეს. განსაკუთრებით მწვავე იყო სასურსათო საკითხი. ამიტომ ერობები მცხოვრებთა მდგომარეობის შესამსუბუქებლად იძულებულნი იყვნენ თითქმის ყოველ მხრივ სასურსათო მარაგი მოეწყოთ. ამასთანავე საერობო დაწესებულებათა ორგანოები მცხოვრებთა მდგომარეობის შესახებ ცნობებს ჰკრეფს. სურსათ-სასოფლო სამაზრო ერობები აგროვებენ თავის ხელში, დაარიგებენ ყიდულობენ და შემდეგ არიგებენ მცხოვრებთა შორის, იმის და მიხედვით, თუ ვის როგორ გაჭირვება გააჩნია. ამასთანავე საერობო დაწესებულებანი მომარაგების სამინისტროს მიერ სასურსათო გეგმის ცხოვრებაში გასატარებლად ყოველ გვარ ზომებს ღებულობენ. აგრეთვე ერობები იღებენ ზომებს რაიონების ეკონომიურ კეთილდღეობის განსამტკიცებლად: ამ მიზნით სდებენ სათანადო თანხებს: ზუგდიდის სამაზრო ერობამ ამ მიზნის განსახორციელებლად 7 მილ. მანეთზე მეტი გადასდო, ბორჩალოს სამაზრო ერობამ 12 მილ. მან. მეტი, გორის სამაზრო ერობამ დაახლოვებით 3 მილ. მან. თიანეთის ერობამ 2 მილ. მან.; და სხვ. განსაკუთრებულ ყურადღებას სამაზრო ერობები სახალხო განათლების საქმეს აქცევენ: გახსნილია საშუალო და დაბალი სასწავლებლები, მოწყობილია კურსები, საკვირაო სკოლები, სამკითხველოები და სხვ. თბილისის სამაზრო ერობამ განათლების საქმეზე თავის წლიურ ბიუჯეტის მერვე ნაწილი დახარჯა; გორის სამაზრო ერობამ წლიური 50 მილ. მან. ბიუჯეტიდან 9 მილ. სახალხო განათლების საქმეს მოანდომა, შორაპნის ერობამ 43 მილ. მანეთიდან სახალხო განათლების საქმისათვის 12 მილ. მან. გადასდო. ოზურგეთის ერობამ 55 მილ. მანეთიდან 21 მილ. მანეთი და სხვა. სერიოზულ ყურადღება ექცევა აგრეთვე საექიმო სასანიტარო სავეტერინარო საქმეებს. ასეთივე ყურადღებით ეპყრობა სამაზრო ერობა საგზაო აღმშენებლობას და სხ. სამაზრო ერობებმა და ზოგიერთმა თემებმაც საერობო აფთიაქები გახსნეს: ოზურგეთის საერობო თვითმართველობამ 5 აფთიაქი გახსნა; ქუთაისის ერობამ—5; სენაკისამ 6 და სხვა. ადგილობრივ პირობების ბუნებრივ სიმდიდრი და თვითმცხოვრებთა მოთხოვნილებების თანახმად ადგილობრივ რაიონებში მრეწველობის, ესა თუ ის დარგი ვითარდება. ეწყობა კარგი მექანიკური სახელოსნოები და ტყის სახერხი ქარხნები და წისქვილები. ასეთი ქარხნები მოწყობილია გორის, თიანეთის, ქუთაისის, ოზურგეთის; ზუგდიდის, გუმისტანის და სხ. სამაზრო ერობების მიერ. სენაკის სამაზრო ერობამ, გარდა ამისა, კარგად მოაწყო ქსოვის საქმე. აქვე მექანიკუო სახელოსნოსთან მოწყობილია სახარატო, საზენკლო, სასხემო და სადურგლო საამქროები. დიდძალი თანხები გადასდო აგრეთვე ერობამ რკინის გზების და სამკურნალო წყლების საჭიროებისათვის. კერძოთ სიღნაღის და კოდორის ერობები არავითარ საშუალებას არა ჰზოგავენ, რომ უკეთესად მოაწყონ განთქმული ახტალის ტალახიანი აბანოები და ტყვარჩელის წყლები. თავის მხრივ ერობათა კავშირი მრეწველობის განვითარებას დიდ ყურადღებას აქცევს. ქალაქებში მან ცენტრალი სახელოსნოები მოაწყო, გახსნილია დიდი ტყის სახერხი, საპნისა და სხვა ქარხნები. ერობათა კავშირი აწარმოებს აგრეთვე საქონლის შესყიდვას და შემდეგ მცხოვრებთათვის დასარიგებლად საქონელს წვრილ საერობო ერთეულებს აწვდის. დასასრულ ერობათა კავშირი აღნიშნავს, რომ ერობების დაწესებულებათა მუშაობამ მოიტანა სასურველი შედეგები და მან მოამზადა ნიადაგი მთელი ეკონომიური ცხოვრების საზოგადოებრივ ორგანიზაციათა განმგებლობაში გადასვლისათვის..

# ერ. დემ. პარ. მთავარ ბიუროს ცნობები

**ერ. დემ პარტიის მთავარი ბიურო** მოთავსებულია ისევ ძველ ბინაზე სასახლის ქ. № 5. მთავარ კომიტეტის მდივანი იმყოფება ბიურო კანცელარიაში დილის 9—11—სა თ. და საღამოს 7—9 დ.

**პროვინციიდან ჩამოსულ წევრებსადმი.**

პროვინციებიდან ჩამოსულ პარტიის წევრებს, ევალებათ შემოიარონ მთავარ ბიუროში ზემოაღნიშნულ საათებში.

**აბაშა.**

დაბა აბაშისა და აბაშის რაიონული კომიტეტი, საქ. ერ.—დემ. პარტიისა, ამით აცხადებს, რომ თანახმად კომიტეტის აგვისტოს 3 სხდომის გადაწყვეტილებისა, საყოველთაოდ აცხადებს, რომ დღეიდან (ე. ი. 3 აგვისტოდან ა. | წ. გაუქმებულად ითვლება ძველი კომიტეტის მიერ წევრებზე გაცემული მანდატები და მოწმობები, ხოლო ასეთების მისაღებად პარტიულმა წევრებმა უნდა მიმართონ ახალი კომიტეტის მდივანს პარტიული ბიუროში ან პირადათ საკუთარ სახლში.

კომიტეტის თავმჯდომარე: თ. კოკაია

მდივანი: ვლ. წულუკიძე.

—

**პროვინციის ორგანიზაციებისადმი.**

თანახმად მთავარი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილების ერ. დემ. პარ. პროვინციების ორგანიზაციებს და განსაკუთრებით კი სამაზრო კომიტეტებს ევალებათ სასწრაფოდ გამოგზავნონ მოხსენებანი დღემდე ნაწარმოებ პარტიულ მუშაობის შესახებ.

—

პროვინციის ორგანიზაციების სარევიზიო კომისიებს კი ევალებათ სასწრაფოდ მოახდინონ ორგანიზაციათა რევიზია თანახმად დებულების № 4 ცირკულიარისა და შედეგები წერილობითი მოხსენებით გვაცნობონ.

—

ახლად დაარსებულ ორგანიზაციებს ევალებათ გვაცნობონ თავიანთი არსებობის შესახებ და კავშირი დაიჭირონ როგორც მთავარ კომიტეტთან ისევე სამაზრო ან სარაიონო კომიტეტთან.

—

მთავარმა საორგანიზაციო კომისიამ გამოსცა პარტიულ მუშაობის ინსტრუქცია, უკანასკნელი კონფერენციის მიერ დამტკიცებული პარტიული წესდება და საწევრო ბარათები პროვინციის ორგანიზაციებისათვის. იმ ორგანიზაციებს, რომელთაც ესენი არ მიუღიათ ევალებათ თბილისში მომავალ პარტიულ ამხანაგების საშუალებით მოითხოვონ მთავარ კომიტეტის ბიუროდან

ერ. დემ. პარტიის მთავარი კომიტეტი.

თბილისი, დ მუუძნეული კრების ქ. № 5.

# ახალი ამბავი

## ს მინისტროებაში.

— **ოფიციალური განცხადება.** საგარეო საქმეთა სამინისტროს აქვს ცნობები, რომ ყოვილ რუსეთის ტერიტორიაზე არსებულნი ქართველთა ეროვნ. საბჭოები ხშირად ითვისებენ მთავრობის ორგანოთა უფლებას: კისრულობენ მთავრობის წარმომადგენლობას და, როგორც ასეთნი, იძლევიან მოწმობებსა, თუ სხვა საბუთებს; სამინისტრო საყოველთაოდ აცხადებს, რომ ხსენებულ საბჭოთა განცხადებას, ან მათ მიერ გაცემულ ქაღალდებს, ოფიციალური ძალა არა აქვთ, რადგან ეს დაწესებულებანი მთავრობისა არ არიან საამისო უფლებით აღჭურვილნი.

**შინაგან საქმეთა სამინისტროში.** შინაგან საქმეთა სამინისტრომ აცნობა ქუთაისის, ლეჩხუმის და რაჭის სამაზრო მილიციის უფროსთ, რომ მიიღონ საგანგებო ზომები ძარცვა-გლეჯის მოსასპობად და მოგზაურობის უზრუნველსაყოფად.

— **დანიშვნა.** შინაგან საქმეთა სამინისტროს საადმინისტრაციო განყოფილების უფროსი ა. შენგელია დაინიშნა ბათომის კომისრად. შინაგან საქმეთა სამინისტროს საადმინისტრაციო განყოფილების უფროსად დაინიშნა ა. ცინცაძე. საადმინისტრაციო ინსპექტორის თანაშემწე ა. მამფორია დაინიშნა ბათომისა და მისი ოლქის განსაკუთრებულ კომისრის კანცელარიის მმართველად.

— **დახმარება.** ოზურგეთის სამაზრო ერობამ აცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ მობილიზაციის გამოცხადებისთანავე დაარსდა სარაიონო კომიტეტები მობილიზაციით გაწვეულთა ოჯახების დასახმარებლად, სამაზრო ერობის ხელმძღვანელობით სარაიონო კომისიები ეხმარებიან მობილიზაციით გაწვეულთ ოჯახებს მოსავლის მოწევაში და შეძლების დაგვარად მათ ნივთიერ დახმარებასაც აძლევენ.

— **დამატების მიცემა სახელმწიფო მოსამსახურეთათვის.** შრომის სამინისტრომ მიმართა სახელმწიფო დაწესებულებებს შემდეგი შინაარსიის ცირკულიარით: თანახმად დამფუძნებელ კრების ა | წ. 6 აგვისტოს დეკრეტისა, სახელმწიფო მოსამსახურეებს ჯამაგირები უნდა მიუმატოს 1 ამა აგვისტოდან 50—100-მდე. რადგანაც ძლიერ საჭიროა დაწესებული მომატება დროზე მიიღონ მოსამსახურეებმა, შრომის სამინისტრო სთხოვს ყველა სახელმწიფო დაწესებულებათა უფროსებს, რათა საჩქაროთ იქნეს შედგენილი ჯამაგირის მისაღებათ სიები, თანახმად 16 აგვისტოს დეკრეტისა. რადგანაც მომატება გატარებული უნდა იქნეს ისე, რომ მოსამსახურე წინა კატეგორიისა არ ღებდეს იმდენს, რამდენსაც იღებს მომყოლი კატეგორიის მოსამსახურე, ამისათვის შრომის სამინისტრო წინადადებას იძლევა ხელმძღვანელოთ შრომის სამინისტროს მიერ შემუშავებულ სხემებით, რაც სახელმწიფო დაწესებულებებს უკვე დაეგზავნა.

## დამფუძნებელ კრებაში.

— **დამფუძნებელი კრების შენობის შეკეთების გამო.** დამფუძნებელი კრების შენობის შეკეთების გამო დამფუძნებელი კრების თავმჯდომარემ და კანცელარიამ შესწყვიტა მთხოვნელთა მიღება. ამასთანავე აკრძალა სასახლის ბაღში შესვლა, დღემდის გაცემული ბილეთი დამფუძნებელ კრებისა და ბაღში შესასვლელად დღეიდან თავის ძალას კარგავს.

— **მისალმება დამფუძნებელ კრებას,** დამფუძნებელ კრების თავმჯდომარემ მიიღო წოლკის, ეროვნის [illegible] მისასალმებელი დეპეშა.

## თავდაცვის საბჭოში.

— **თავდაცვის საბჭოში.** თავდაცვის საბჭოში განიხილეს მოხსენება კულტურულ სექციაში მობილიზაციისაგან გამოუწვეულ ხარჯების დასაფარავად საჭირო თანხის გადადების შესახებ. დაადგინეს: მიიღონ მოხსენება და აღნიშნულ მიზნისათვის სამხედრო სამინისტროს განკარგულებაში გადასდონ 500.000 მანეთი.

## ქალაქის თვითმართველობა

— **საავადმყოფო კასა.** ქალაქის საერთო საავადმყოფო კასის გამგეობამ დაადგინა ჯამაგირის მომატება აგვისტოს 1 რიცხვიდან გავრცელდეს იმ მოსამსახურეებზედაც, რომლებიც ავადმყოფობის გამო შვებულებაში არიან. საავადმყოფო კასის გამგეობამ მოისმინა ს აქიმო დახმარების მის ხელში გადმოსვლის შესახებ და პრინციპიალური თანხმობა განაცხადა ამ გადაწყვეტილებაზე. ამასთანავე დაადგინეს მოეთხოვოს მეფაბრიკეებსა და მექარხნეებს შემოიტანონ კასაში არა უმცირეს 4 პროც. მიუხედავად იმისა, მრეწველები უარს განაცხადებენ, თუ არა, ეს დადგენილება ცხოვრებაში უნდა გატარდეს. საკითხი განსახილველად შრომის სამინისტროს გადაეცა. ამავე კასის გამგეობამ დაადგინა გამართოს სისტემატიურად საქარხნო - საფაბრიკო კომიტეტების კრებები სოციალურ დაზღვევის მიზნებისა და კასის მოღვაწეობის გასაცნობად. ამასთანავე დაადგინეს: თანახმად ფოთის საავადმყოფო კასის შუამდგომლობისა, ფოთის მუშები თბილისის საავადმყოფოში მიიღონ.

## ერობა.

**ტფილისის ერობა.** აგვისტოს 26, თბილისის ერობის თვითმართველობის ფინანსიურ კომისიისა და ხმოსანთა საბჭოს პრეზიდიუმის შეერთებული სხდომა არის მოწვეული. სხდომაზე მოსამსახურეთათვის ჯამაგირის მომატების საკითხი გაირჩევა.

— **მეტეოროლოგიურ სადგურის მოწყობა.** ტბილისის სამაზრო ერობამ, მანგლისში მეტეოროლოგიურ სადგურის მოსაწყობად საგანგებო თანხა გადასდო.

## სურსათი

**სურსათ-სანოვაგის მიწოდება ბაქოში მყოფ ინგლისელ ტყვეებისათვის.** აგვისტოს 21 ამიერ—კავკასიაში მყოფმა ინგლისის უმაღლესმა კომისარმა ლიუკმა, ბაქოში მყოფ ინგლისელ ტყვეებისათვის ერთი ვაგონი სხვა და სხვა საქონელი და სურსათ-სანოვაგე გაგზავნა. თანახმად რკინის გზის მოსამსახურეთა წრეებში მოსულ ცნობებისა ამ საქონლის ფოილოს ხიდთან გადმოტვირთვისათვის მუშებს 40,000 მან. მოუთხოვიათ.

## სატარიფო პალატაში.

**სატარიფო პალატის განმარტება.** სატარიფო პალატამ ყოველ დაწესებულებას, მუშათა ორგანიზაციებს და სამრეწველოებს განუმარტა, რომ სატარიფო პალატის ივლისის 28 დადგენილება იცვლება ასე: მუშებსა და მოსამსახურეთ, რომლებიც არ სარგებლობენ მუშათა მაგიდის მიერ მოწოდებულ სანოვაგით დამქირავებლებმა უნდა მისცენ ჯამაგირის 25 პროც., მაგრამ არა უმცირეს დღეში 50 მანეთისა და არა უდიდეს 90 მან. ე. ი. თვეში არა უმცირეს 1,250 მ. და არა უდიდეს 2,250 მან. ეს დადგენილება ძალაში შედის აგვისტოს პირველიდან, მხოლოდ ისეთ ადგილებში სადაც მოქმედებს პალატის განყოფილება.

## ვაჭრობა-მრეწველობა.

**მარგანეცის ექსპორტი.** თანახმად „ჩერმოს"-ს ცნობებისა ამ უკანასკნელ დღეებში გასულა მარგანეცით დატვირთული შემდეგი გემები: ჰოლანდიაში „ანტვერპენი" 4,500 ტონი მარგანეცით, ამერიკაში—„აილანდი" 4,000 ტონით, ინგლისში—„ვიქტორია" 4,000 ტონით. აგვისტოს 17, იტალიაში გავიდა ორი გემი, რომელმაც 4,000 ტონი მარგანეცი წაიღო.

## მილიციაში.

**ქურდობა.** სასტუმრო „ვიქტორიაში" მცხოვრებმა გრიგორიანცმა მილიციას განუცხადა, რომ მის ოთახიდან მოიპარეს ხალიჩა ღირებული 20 ათასი მან.

— **გენ.** ანდრონიკაშვილმა განუცხადა მილიციას, რომ მის შინ არ ყოფნის დროს მოუპარავთ სხვა და სხვა ნივთები ღირებული 30 ათას მანეთად. მილიციამ შეიპყრა მეეზოვე ალ. საგატელიანცი.

## თეატრი და ხელოვნება

— **სახელმწიფო თეატრი.** სახელმწიფო თეატრის ხელოვნების კომისიამ დაადგინა: სთხოვოს განათლების სამინისტროს, არჩევის მისცეს უფლება [illegible] კერძო საოპერო დასის შედგენისა [illegible] სტრის უნებართოდ. 2 დაამტკიცოს სახელმწიფო თეატრის წინად არსებული დისციპლინის წესები, 2 შეამციროს თეატრის ექიმთა რიცხვი 7-დან სამამდე და 4. მოიწვიოს სახელმწიფო ბალის გამგედ ევლახიშვილი.

## ქუთაისი

— **თეატრის გადაკეთება.** ქალაქის თვითმართველობა ქალაქის თეატრის გადაკეთებას შეუდგა. დასის შედგენა და სათეატრო საქმის ხელმძღვანელობა მიმდინარე წელს შ. დადიანს მიენდო.

გამოდის ყოველ კვირეული გაზეთი „ხალხის მეგობარი და სოციალ-დემოკრატი"

— **საკომისიო საზოგადოება.** საკომისიო საზოგადოება მოქმედებას შეუდგა. საზოგადოებაში დასავლეთ-საქართველოს კოოპერატივები და ქალაქის თვითმართველობანი იღებენ მონაწილეობას. საზოგადოების მიზანია სახლგარ გარედ სხვა და სხვა საქონლის შესყიდვა და მათი მცხოვრებთათვის მიწოდება.

მუშავდება პროექტი [illegible] ქალაქის საავადმყოფომდე ვიწრო ლიანდაგიანი რკინის გზის გაყვანისა.

— **ქუთაისის ქალაქის საბჭოს თავმჯდომარედ ლ. გრიგოლია აირჩიეს.**

## ბათომი

— **ბრძოლა გადამდებ სნეულებასთან** (საკ. კორ.) გადამდებ სნეულებასთან ბრძოლის მიზნით ქალაქი დაიყო 13 საექიმო პუნქტად. თვითეულ პუნქტში 5–6 ათასი მცხოვრებია. ამასთანავე შესდგა გადამდებ სნეულებასთან მებრძოლი საბჭო. აღმასრულებელი ფუნქციები მიენიჭა განსაკუთრებულ კომისიას, რომლის სათავეში სდგას ბათომისა და მასი ოლქის განსაკუთრებული კომისარი და რომლის შემადგენლობაშიაც შედის საზოგადოებრივ დაწესებულებებისა და პროფესიონალურ ორგანიზაციების წარმომადგენლები.

# სომხეთი.

— **ვიკრის მოგზაურობა სომხეთში.** მახლობელ აღმოსავლეთის დამხმარე ამერიკის კომიტეტის გენერალურმა სეკრეტარმა ვიკრიმ მოიარა სომხეთი და ქენევს გაემგზავრა სომხეთის მეგობართა მომავალ კონგრესში მონაწილეობის მისაღებად. ამ ცოტა ხანში მოელიან სომხეთის რკინის გზებზე ნაწილობრივად მოძრაობის განახლებას.

— **გარეშე საფრთხის საკითხი.** სომხური პრესა ეხება სომხეთისა და საქართველოს გარეშე საფრთხის საკითხს. პრესას საჭიროდ მიაჩნია ორივე რესპუბლიკის სოლიდარული მოქმედება და აღნიშნავს საქართველოსთან კავშირის აუცილებელ საჭიროებას.

— **სომხების გატარება საქართველოს ტერიტორიაზე.** საქართველოში მყოფმა სომხების დიპლომატიურმა წარმომადგენელმა საქართველოს მთავრობას სთხოვა, რომ მან საქართველოს ტერიტორიაზე გაუშვას საბჭოთა რუსეთიდან სომხეთს გამგზავრებული 4.000 სომეხი. ეს შუამდგომლობა საქართველოს მთავრობამ დააკმაყოფილა.

**საერთაშორისო კრება სომხეთის შესახებ.**

სომხეთის შესახებ მოწვეულია საერთაშორისო კრება, რომელზედაც წარმომადგენლნი ჰყავთ ინგლისს, საფრანგეთს დანიას, შვეციას, ნორვეგიას, შვეიცარიას და ჰოლანდიას. კრების პირველი სხდომა გახსნა შვეიცარიის წარმომადგენლმა ნასყიდოვმა, რომელმაც იმედი გამოსთქვა, რომ ოსმალეთის ხელშეკრულობა საბოლოვოდ უზრუნველს ჰყოფს სომხეთის არსებობას და სიცოცხლეს, ა. აგარონიანმა ამ კრებას გულწრფელი მოწოდებით მიჰმართა.

(ნორ-აშახატ.")

# უცხოეთის ფოსტა.

**ისტორიული კურიოზები.**

**რვა საათის სამუშაო დღის დაწესება ფილიპე მეორის მიერ 1578.**

ბრიუსელში აღმოუჩენიათ ერთი ხელნაწერი, რომელიც ფილიპე მეორის ხელთაა ნაწერი და ეკუთვნის იმ ხანას, როდესაც იგი ფლობდა ესპანეთსა და ფლანდრიას, სახელდობრ 1550—1598 წ. ეს ხელნაწერი შეიცავს ცნობებს მაღაროებში მომუშავეთა ბრძანების შესახებ, ხელმოწერილია 1578 წ. პარლამენტში გატარებული კანონი 1579 წ. 10 იანვ. ამ ბრძანებაში საგულისხმიეროა რვა საათის სამუშაო დღის დაწესება, იმ საშინელი მონობის დროს. აი ეს ბრძანებაც: 1) ჩვენი უზენაესი სურვილია, რათა ამიერიდან მაღაროებში მომუშავენი მხოლოდ რვა საათს მუშაობდნენ, ოთხ-ოთხი საათის მუშაობით თვითეულ დასვენების შემდეგ.

2) თუ სამუშაო ძრიად მძიმეა და გათევება კი აუცილებელია, მაშინ სამუშაო უნდა სრულდებოდეს ექვს ექვსი სამუშაო საათის კვალობაზე შემდეგის წესით: ყოველ ექვსი საათის შემდეგ მუშა იღებს იარაღს და წავა დასასვენებლად,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინ როდესაც მათ სანაცვლოდ მოვიდან სხვები და განთავისუფლებენ. ასეთი სამუშაო გრძელდება მთლიანად [illegible] საათს, მაშასადამე, სულ სამუშაო მთელი 24 საათის განმავლობაში.

4) ჩვენი [illegible] სურვილია, რომ უქმე დღეებში მუშებს იგივე ხელფასი მიეცეთ, როგორც სამუშაო დღეებში.

შენიშვნა 1. აღდგომისა, შობისა და ამაღლების დღესასწაულზე [illegible] მუშები დასვენებისათვის, [illegible] რომლისა მოვალეობა [illegible] მოჰხეთქოს და მაღაროები არ წალეკოს.

შენიშვნა 2. ღვთისმშობლობა დღისა და ათ-თორმეტ მოციქულთა დღესასწაულზე თვის მუშები წინადღითვე განთავისუფლებულნი უნდა იქმნენ.

60. მ ლარის მუშებს შეუძლიანთ სურვილისამებრ ამოირჩიონ ადგილი თავიანთ სახლის ასაშენებლად პატარა ბაღით და კარმიდამოთი, სადაც მუდროდ შეეძლებათ ოჯახისთვის მუშაობა და ზრუნვა. სასყიდლის ფასი ნელ-ნელ უნდა მოხდეს წლობით. თუ სახლის მამა გარდაიცვალა თავისუფალნი არიან გადასახადებისაგან.

90. ყოველ ბაზარზე არავის არ აქვს უფლება სანოვაგე ადრე იყიდოს, ვიდრე მუშა თავის კერძს ვერ შეისრულებს".

ბრძანებაში კიდევ იმისთანა რამ ა, რაც ჩვენი დროის სოციალისტებს ძილშიაც არ დაესიზმრებათ.

(„ჟურნალ დორიან")

## ბარათი თუშეთზე.

(პირველი ბარათი).

ხშირად იწერება საქართველოს სხვა და სხვა ნაწილებზე წერილები და ფელეტონები... მოითხოვენ გზების გაყვანას, შკოლების გახსნას და სხვა და სხვა. მაგრამ არის ერთი ძვირფასი კუთხე, რომლის შესახებ არა იწერებ-არა, ამიტომ მსურს პატარა ბარათით გავახსენო დანარჩენ ქართველობას, რომ კავკასიის მთავარ უღელტეხილზე საბჭოთა რუსეთის საზღვრის პირად არის ლამაზი კუთხე, ჩალმა თუშეთი, რომელიც სამ თემად გაიყოფა: „ჩალმა", „გომენარი" და „პირ იქით". ბუნება მისი ყოველმხრივ ლამაზია, შავკლდეთა სიდიადე, ლურჯ მყინვართა ელვარება, ჭალების ამწვანება და ველების აფერადება განუშორებელია ამ კუთხისა, და ამ მთებ შორის მიჰქრიან რძესავით თეთრი და ქაფიანი თუშეთის ალაზნები (თუში ყველა დიდ მდინარეს ალაზანს ეძახის), ჩალმის ალაზანი, პირიქითს ალაზანი და გომენარის ალაზანი, რომელიც სამივ თემის დასაწყისში ერთდებიან აწდიის-ყოისუთში და უკვე მძიმე და ტბორე რუსეთისაკენ მიიჩქარიან. ხალხიც ლამაზი და ტანოვანი, ყოველთვის მებრძოლი და ფოლადის გულის, მაგრამ ადამიანის გვარის სავალალოდ მარტო სილამაზე არ კმარა, რომ იგი ხანგრძლივი და უკვდავი იყვეს. იქნებ თუში ღმერთს იმიტომ გაუჩენია, რომ თავის ჯანი და სიმკვირცხლე მხოლოდ თუშეთის სიშინელ გზებს შეალიოს, მაგრამ თუში ისე შესჩვევია ამ „გზებს", რომ ვაკე, ნაკეთებ გზაზე თავს ვერც კი იგრძნობს ისე ლაღად და თავისუფლად, როგორც თავის „ქალის ჯვარის" აღმართზე, რომლის დაქანება 60 გრ. მაინც იქნება, ეს ისეთი დაქანებაა, რომელიც სამხედრო მეცნიერებაში გაუვალ გზათ ითვლება.

სოფელ ალვანიდან ორი დღის სიარულის შემდეგ კაცი მიადგება ეგრედ წოდებულ თუშეთის გადასახედს, ეს წყალსაყოფი უღელტეხილია, აქედან მდინარენი უკვე ამას იქით მოექანებიან. ამ გადმოსახედიდან თვალწინ გადიშლება ჩალმა თუშეთი თავის პატარ-პატარა, არწივის ბუდისებურ სოფლებით. და იტყვის ბარელი რომ ერთ სოფლიდან მეორე სოფლამდე გადაფრენა თუ შეიძლება, თორემ ფეხით სასიარულო გზა კი არა ბილიკიც არ იქნებაო. მაგრამ გამჭრიახი თვალი დაქანებულ სერზე ამჩნევს პატარა თეთრ ხაზს მიკლაკნულ მოკლაკნულს და სწორედ ამ ხაზზე მიუთითებენ: „აგერ გზა ის არისო"... მაღე შეამჩნევს კაცი თუ თუში ვით მიაგოლვებს სწრაფსა და წელში გამოწურულ მუდმივ თანამგზავრს თავის საყვარელ ცხენს. ჩალმა თუშეთის უკან კი აზიდულან ვეებერთელა მაღალი მთანი, მუდამ თოვლით დაფენილი და ღრუბლით შემობურვილი იქ: „რაც წყალი იქით გადილვრება იმათია" (საბჭოთა რუსეთის) და რაც აქეთ გადმოიღვრება ჩვენია". ასე იტყვიან იქ ამ საზღვარზე, რომელიც ზედად თითქმის გადმოუვალია, მაგრამ თუშეთის მოსაზღვრე ლეკები: ქისტები, დიდოელები და სხვა თემის ლეკები მოსვენებას არ აძლევენ ამ მხარეს. გაზაფხული, ზაფხული არ გავა ისე, რომ თუშეთში ბრძოლის ყიჟინა არ გაისმას იარალი აიღეთ მთიდან დიდოელებმა ცხვარი გარეკეს, მწყემსები დაგვიხოცესო და მსწრაფლ მდევართ, იარალის ჟღარუნი, სოფლიდან სოფელს ძახილი, წამოდით, წამოგვეშველეთ თქვენ სოფლის ძმათო ნაფიცი ურჯულო ლეკებს მთაში მოუკლავთო...

და გაბოროტებული თუში, რომ მას თავის მიწაწყალზე არ ასვენებენ, სახლში უხტებიან და ერთად ერთ სარჩო საბადებელსართმევენ, უხოცავენ მიეჩქარება სისხლის ასაღებად, სამაგიეროს გადასახდელად და ხშირად არც ქურდი და ფლიდი დიდო ვალად არ რჩება. არ არის წუთი, რომ თუში იარაღშესხმული არ ელოდეს მტრის დაცემას და საზღვარზე კაცი არ ჰყავდეს გუშაგად მდგომი, ხომ არსაით აპირებს გადმოპარვას და კიდევ საყვარელ კაცის სიცოცხლის გატაცებასო. ყოველთვის თამამად და მედგრად უხდება, ადვილად არ ანებებს თავისას, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც შეჰხვდებით სოფლებს გაპარტახებულს, გადამწვარს და გავერანებულს. „გასტეხს ქვასაცა მაგარსა, წვეთი ულევად მდინარიო"—ამბობენ აქაურები, ამ სოფლებმაც ვერ აიტანეს ყოველ წუთს ტყვიის ზუზუნი, მტერთან ბრძოლა, დრო არა ჰქონდა სარჩო შემოეტანა სახლში და დასტოვა მამა-პაპასაგან ნაშენი ციხე-კოშკები და ქვის ლამაზი სუფთა სახლები. ასეთია სოფლები: ჰონთის, დაგიუირთა, გირევი და ზოგადათ ფარგმა. და იძულებულია თუში მუდამ ჟამს, როდესაც მთის გზა ხსნილია საზღვარზე იდგეს იარაღით ხელში და იცავდეს, როგორც თავის სარჩო საბადებელს და ქონებას ისე საყვარელ სამშობლო საქართველოს და სწორედ ამიტომ არის, რომ როდესაც თუშეთის სოფელში ჰხარ და ხალხთან გაქვს კავშირი ნება უნებურათ მთელი არსებით გადახვალ იმ წარსულ დროს, როდესაც საქართველოს ყოველ კუთხიდან მტერი ესეოდა სოფლიდან სოფელში შიკრიკი დაჰფრინავდა აბა ჩქარა ამაგრეთ კოშკები და ვაჟკაცნი რაზმად დაწყობილნი ჯარს ჩამეშველეთო და დღესაც იგივე სურათი, დღესაც იგივე დრო. თუში იძულებულია მარად თავის მტერს ელოდეს და ღირსეულად ჰხვდებოდეს მას.

აი ამ ყოფაში უხდება მას ცხოვრება და შემდეგ უკვე ზრუნვა წლის სარჩოსათვის. უპირველესი მისი საზრუნავი ცხვარია, რომელიც მეურნეობის პირველ მიზანს შეადგენს. სამწუხაროთ უნდა ითქვას, რომ ამას შემდეგ რაც ლეკ-დიდომ იწყო თარეში მეცხვარეობამ საშინლად იკლო თუშეთში. „სადღაა ცხვარი, რაც წინათ ერთ ჩვენ გვარში ცხვარი მოქუჩდებოდა ეხლა მთელ ჩალმაში აღარ არისო"... გულდაწყვეტით შემომჩიოდა დარბაისელი და ერთი ყოჩალთაგანი თუში იობი. „შიში აქვს მაინც, ზოგი გაიყიდა, ზოგი ბარში გაირეკა და გაწყდა... აი ამ მიზეზით ისე ფარული ველარ არის მეცხვარეობა, ზოგი წინანდელი უშიშარი მთა, მოსაზღვრე ლეკ-დიდოსი სრულიად შეკრულია და მტრის შიშით ცხვარი ვერ არეკილა იქ, ამიტომაც ზოგი ოჯახი ბარათ ჩადის, ალვანში და ზაფხულობითაც ველარ ადის მამა პაპათა სოფელში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თუში ზამთარს თავის ოჯახობას კახეთში ატარებინებს, ალვანში, და ადრე გაზაფხულით კი ისევ მთას უბრუნდება, რომ არ დაუბრუნდეს ის ოჯახი მთელ თუშეთში სალექსოთ გახდება. თუშს შეუწყნარებლად მიაჩნია ბარში დარჩენა იგი მთასთან განუშორებელია და თუ დარჩა, სიკვდილია მისთვის ეს და უეჭველად დავადდება. სურაზე თუშის სადღეგრძელო ყოველთვის ასე თავდება: „ღმერთმა შენ მამაპაპისაგან ნადგომი ბინა არ მოგიშალოს არ დაგატოვებინოს".

და ნურც მოაშლევინოს ღმერთმა, თორემ შეიძლება ითქვას, რომ ეროვნული უბედურება იქნება, საქართველოს ერთი ღია კარები კიდევ ექნება თავ აშვებულ მტერთა სათარეშოთ. ამიტომ მთავრობამ ამ მხარეს დიდი და დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს. პირველი მისი საქმე (მთავრობისა) უნდა გამოიხატებოდეს იმაში, რომ შეუდგეს ისეთი გზის გაკეთებას რომელზედაც ორი ცხენი მაინც აუვლის ერთმანესთ, თუშს იმედი მაინც ექნება, რომ სახლში მშვიდობით მივა.

მართალია ამ გზის გაკეთებაზე დიდი ფული დაიხარჯება, მაგრამ ამავე დროს ეს გზა ერთი ათად აინაზღაურებს ხარჯსაც და ენერგიასაც და ამ გზას ექნება უპირველესად ის მნიშვნელობა, რომ თუო გაუადვილდება მიმოსვლა და ცხვარის მივლა შენახვა, მითუმეტეს, რომ დღეს ამ ცხვარის ნაწარმოები მთავრობას სავალიუტო საქონლად აქვს გამოცხადებული. მეორე—თუშეთი საუცხოვო საკურორტო მხარეა ვინაიდან აქ არის ისეთი სამკურნალო წყლები რომლის სითბო 25, გრ. და მეტს აღემატება და გამოყენებულია ჯკვა, როგორც მეტად სასარგებლო ავადმყოფებისთვის;

მესამე კიდევ ისა რომ ამ გზას ექნება დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა. თორემ დღეს ჩვენი ჯარის ცხენი თუშეთის ნახევარ გზამდეც ვერ ადის და თუ ოდესმე აქეთ ფართე სამხედრო მოქმედება დაიწყო მაშინ მთელი თუშეთის ცხენი უნდა იქმნას გამოყენებული, რაც დიდი ზარალი და უბედურება იქნება მცხოვრებთათვის.

ამ გვარად ამ გაკეთებულ გზა-ბილიკს დიდი და დიდი ეროვნული მნიშვნელობა ექნება.

მაშასადამე, პირველი ნაბიჯი თუშეთის და სამშობლოს საკეთილდღეოთაც გზა, გზა ისეთი, სადაც ორი ცხენი მაინც აუვლის ერთმანეთს.

გზა, გზა და შემდეგ შკოლები იმ ბავშვებისათვის, რომელნიც ხუჯინში მოთავსებული, ცხენზე გადაკიდული ხშირად უფსკრულისაკენ მიექანებიან და ესპობათ ნორჩი სიცოცხლე.

ნ. კეცხოველი.

## ჩვენი კორესპოდენტები

### დაღესტნიდან.

ბოლშევიკების ბატონობამ ხალხი უკიდურეს მდგომარეობამდე მიიყვანა. სანოვაგის ნაკლებობა, რომელიც დაღესტნის ქრონიკულ სენს შეადგენდა, დღეს, ხალხის ფიზიკურ არსებობას მრისხანედ დაემუქრა. ფუთი სიმინდის ფქვილი ათი ათასი მან. ღირს. ფასი შეუჩერებლივ იზრდება.

ხალხი უკანისამოსოთ დაიარება.

მამაკაცებს აკრძალული აქვთ, მკაცრი სასჯელის დამუქრებით, თორმეტ საათამდის გამოჩნდნენ საზოგადო ადგილას თუ შარა გზაზე, რათა თითქმის გატიტვლებულ დედაკაცებს არ დარცხვეთ გარეთ გამოსვლისა და მათ შესძლონ თავიანთი ყოველდღიური მუშაობის ასრულება. ამგვარმა პირობებმა, რომელიც კომმუნისტების ბატონობის უშუალო შედეგია, უფრო აღაშფოთა სადა, მაგრამ მედიდური მთა, რომლის უტეხი სული ყოველთვის ნაკლებ შერიგებია რუსთა ბატონობის უღელს, ვიდრე კავკასიის სხვა რომელიმე ხალხი. და დაღესტანიც იძირება ნელსა, მაგრამ მრისხანე მღელვარებაში. ასაფეთქებელი მასალა ძალზედ ბევრი დაგროვდა და რაც დრო გადის, თვით აფეთქების მომენტიც ახლოვდება.

დ. ნ.

### ქ. სენაკი.

შ. დადიან ს „მადლობის დღე".

შაბათს, აგვისტოს 14-ს ქ. სენაკში გადახდილ იქნა ბ ნ შალვა დადიანის „მადლობის დღე", მისი ხანგრძლივი სასცენო და სალიტერატურო მოღვაწეობისა ღსანიშნავად. სიმართლე უნდა ითქვას, რომ პატარა ქალაქმა ამ დღისათვის გაიღო ყოველივე ის, რის გაღებაც კი შეეძლო. არ ჰქონია ადგილი მრავალ სიტყვიანობას, ცარიელ ქექა-ქუხილს. ქ. სენაკს ყოველთვის ასე სჩვევია. ის ნაკლებს ლაპარაკობს და მეტს აკეთებს. ასე მოხდა ამ დღესაც. მას არ გაუხმაურებია ეს ამბავი, პრესა არ დაუყრუებია. ჩუმად დაიწყო და ჩუმადვე დაამთავრა, მაგრამ სანაქებოდ. არ დარჩენილა არც ერთი ოდნავად მაინც თვალსაჩინო დაწესებულება, რომელსაც ამ „დღეში" მონაწილეობა არ მიეღოს. სადღამოს შინაარშიც სადა და ძარტვი იყო. პირველ განყოფილებაში ბ ნ ს. ხა ახასიათებს ბ-ნ შალვა დადიანს, როგორც საუკეთესო თეატრალსა და მწერალს. მოხსენება მოკლეა, მაგრამ სხარტულად დახასიათებულია უმთავრესი მომენტები „მადლობის დღის" ავტორის მოღვაწეობისა.

შემდეგ იდგმება შ. დადიანის ახალი პიესა „გეგეჭკორი" სადაც თვითონ ასრულებს დადია-ს როლს. სცენაზე მისი გამოჩენა დაუსრულებელ ტაშის ცემას იწვევს... ყოველი ფარდის დაშვებისას ვარდებით ავსებენ სცენას.

თავდება პიესა და იწყება მილოცვები.

სცენა ამაღლებულია და ხალიჩებით დაფარული. ზედვე სდგას სალიჩებითვე მორთული საჯდომი. პატარა ბავშვები კალათით ხელში გზა-გზა ვარდს უფენენ ბ ნი შალვა დადიანს, რომელიც გამოჰყავთ ორ ბალოვანს. მას მოჰყვებიან დრამატიული საზოგადოების გამგეობის წევრები, დელეგატები, სცენის მოყვარენი და სხვა. დარბაზი ტაშის გრიალში ინთქმება. იწყება მილოცვები. პირველი სიტყვით მიმართავს დრამ. საზ. გამ. წარმომადგენელი ბ-ნი რ. გამსახურდია. ქალაქი სამოსახლო მიწას მოართმევს და გრძელდება მილოცვები. ყველას რაღაც მოაქვს, ყველას უნდა თავისი წვლილი შეიტანოს. ყოველი მილოცვები ტაშის ცემით იფარება. განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენს ქუთათურ მსახიობთა წარმომადგენელი ბ-ნ მგალობლიშვილი, რომელიც თავის სიტყვას ასე ამთავრებს. „და ვისთვის უნდა იყოს უფრო სამხიარულო შენი ეს დღესასწაული თუ შენი უმცროსი ძმებისთვის ქუთათური მსახიობებისთვის, რომელთაც დამაბარეს, მიდი და შალვას გულზე ემთხვიე, უკეთესს საჩუქარს ჩვენ ველარ მოვძებნითო"-ო და დაუსრულებელმა ტაშის გრიალმა დაფარა გულზე დაკრული მსახიობი...

მილოცვები ამით თავდება. უკანასკნელ სიტყვას ამბობს თვითონ შალვა: „მეც, ჩემთვის ამ ბედნიერ დღეს მინდა გავიმეორო ერთი მტარვალის სიტყვები, რასაკვირველია, სრულიად სხვა მნიშვნელობით: ნეტავ ყველას ერთი თავი მოგეცათ, რომ ერთად გაკოცოთ შუბლზე ო და კვლავ ტაშის გრიალი..., მადლობა, კვლავ დიდი მადლობა" განაგრძობს იგი ისევ ტაშის ცემა აწყვეტინებს.

გათავდა ზეიმიც.

იყო მრავალ მილოცვის დეპეშები თბილისიდან, ქუთაისიდან, როგორც საზოგადო დაწესებულებისაგან იყო პირადად ნაცნობ მეგობრებისაგან.

დასასრულ გაუმართეს საპატივსაცემო ვახშამი, რომელმაც გასტანა მეორე დილის 9 საათამდის, რომლის შემდეგ ხელზე აყვანილი დასვეს საგანგებოთ ხალიჩებით მორთულ ურემზე და ასე მიაცილეს თავის ბინამდის. გზა და გზა ხალხი ტაშის ცემითა და ვაშას ძახილით ეგებებოდა.

ხ.

### დ. თიანეთი.

ბაბა თიანეთს ამ ბოლოდროს რომორღაც სიცოცხლე დაეტყო, გარეგნულად მაინც. ერთის მხრივ კოოპერატივ „ძამითაღმა" და ეროვნის ხასულთა მაღაზიამ მიანებეს ძალს თავი, ნებივრობა გვერდზედ გადასდეს და შეუდგნენ თავიანთ პირდაპირ დანიშნულებას.. რითაც ცოტათ თუ ბევრათ აილაგმნენ კერძო მოვაჭრენი, ხოლო მეორე მხრივ ძველ სცენის მოყვარეთაც მისწყინდათ შორიდან სცენის ყურება და დაუბრუნდნენ მას. იმედია წარმოდგენაზე წამსვლელი დარწმუნებული იქნება, რომ ნახავს არა ავტორის გმირთა კარიკატურას, როგორც იყო ამას წინად დადგმულ ცნობილი „არსენა" საცა თვით უმთავრესი გმირი ყაჩაღი არსენა წარმოადგენდა „ინტელიგენტურ ყაჩაღს", არამედ მის ნამდვილ გმირებს.

თუ თვალს გადავავლებთ თიანეთის გარშემო სოფლებს, არა უშავს რა, ასე თუ ისე სიწყნარე და სისუფთავეა, იმის გამონაკლისით, რომ ზოგიერთ სოფლებში გზები წაავგას უფრო კამეჩების საგორილობელს, ვიდრე გზებს.

წელს პურის მოსავალიც კარგია, გლეხი ვერ დაემდურება მას. როგორღაც ამინდიც ხელს უწყობდა მის მიმკა გალეწვაში.

კარგი იქნებოდა, რომ ეროვნის სასურსათო განყოფილებამ ეხლავე, ვიდრე პური არც ისე ძვირია (კოდი სამი ფუთი ფასობს 1. 500 მანეთ.) შეეძინოს საკმაო პური, თავის მოსამსახურეთათვის, რათა მათ არ მოუხდეთ წლევანდელსავით კარდა კარ სიარული და ერთი პურის შოვნაში ნახევარი დღის დაკარგვა.

ეს ორი სამი კვირაა რაც ყაჩაღობა მოისპო, შეუძლიანთ იმგზავრონ თიანეთიდგან ყოველს მიმართულებით, ისე რომ, დანიშნულს ალაგას გატიტვლებული „შინლის" ამარა არ მიხვიდეთ.

მზეგრძავი.

## ბირჟის ცნობები.

### 24 მარიამობისთვის ბიულეტენი.

| | საყიდლით | გასაყიდ. |
|---|---|---|
| ინგლისური გირვანქები | 5100 | 5300 |
| ინგლისური ჩეკები | 5000 | 5100 |
| ფრანგული ფრანკები | 100 | 120 |
| „ ჩეკები | 88 | 92 |
| იტალიური ლირები | 85 | 87 |
| „ ჩეკები | 82 | 83 |
| გერმანული მარკები | 44 | 47 |
| „ „ | — | — |
| ავსტრიული კრონები | 11 | 13 |
| „ „ | — | — |
| ამერიკული დოლარები | 1600 | 1650 |
| ამერიკული ჩეკები | 1500 | 1550 |
| ოსმალური ლირები | 1300 | 1350 |
| „ ჩეკები | არ | არის |
| „ ოქრო | 6300 | 6500 |
| სომხეთის | 22 | 23 |
| აზერბაიჯანი | 32 | 33 |
| რუსეთის ოქრო 10 მ. | 7000 | 7200 |
| „ნიკოლოზის" მსხვილი | 15000 | 16000 |
| „ნიკოლოზის" წვრილი | 9500 | 10000 |
| „კერენკები" 1000 მ. | 3000 | 3500 |
| „ 250 მ. | 1600 | 1700 |
| „ წვრილი | 45 | 47 |
| საბჭოთა რუსეთის | 30 | 32 |

სარედაქციო კოლეგია.
მთავარი რედაქტორი: სპ. კედია.

საჭიროა
მოსამსახურე ქალი.
მოიკითხეთ „საქართველოს" კანტორაში. 4—7—8

იყიდება სამოსახლო
მიწები
ქუთაისში გეგუთის ქუჩაზე ქალაქის გარე ხაზთან, ხეხილით საუკეთესო მიწა, ზომით 3 დესეტინა.
ფოთში სამი ნაჭერი საუკეთესო ქუჩებზე 2000 კვ. საჟ. იკითხეთ „საქართველოს" კანტორაში. 1—84—0

საქართველოს
სავაჭრო სამრეწველო ცენტრალურმა ბანკმა
გახსნა განყოფილება
ბორჯომში
აწარმოებს ყოველგვარ საბანკო ოპერაციას. მოაგარაკეთა ოჯახობას შეუძლიათ თბილისიდგან მთავარ გამგეობაში გახსნილ მიმდინარე ანგარიშიდგან ბორჯომში მიიღონ ნაწილ-ნაწილად სახარჯო ფული. გადაგზავნ-გადმოგზავნა თანხის გაადვილებულ წესით ხდება. 73

ნებადართულია სამხედრო ცენზურიდან.